სამართლის სამაგისტრო პროგრამა

აპლიკანტი უნდა ფლობდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ნორმატიულ მასალს:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
7. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
8. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
9. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
10. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ;
11. საქართველოს შრომის კოდექსი;
12. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ;
13. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი,
14. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.

სამართლის სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნიმუშები

1. **საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ:**
   ა. სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო
   ბ. სოციალური და სამართლიანი სახელმწიფო
   გ. სოციალისტური და სამართლიანი სახელმწიფო
   დ. სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფო
2. **1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით დადასტურდა, რომ:**
   ა. საქართველო არის დამოუკიდებელი ქვეყანა
   ბ. საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა
   გ. დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო
   დ. დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სუბიექტი
3. **საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არის:**
   ა.ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა ს
   ბ. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა
   გ. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენა
   დ. საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება და ჩამორთმევა.
4. **საქართველოს მთავრობა შედგება:**
   ა. მხოლოდ მინისტრებისაგან
   ბ. პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან
   გ. მინისტრებისა და პარლამენტის წევრებისაგან
   დ. პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრისაგან
5. **ჩამოთვლილთაგან, რომელ უფლებას-თავისუფლებას იცავს საქართველოს კონსტიტუცია?**
   ა. სიტყვის თავისუფლებას
   ბ. საკუთრების უფლებას
   გ. თავისუფალი მიმოსვლის უფლებას
   დ. ჩამოთვლილთაგან ყველას
6. **ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი: მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან შეიძლება გათავისუფლდეს თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის:**

   ა. ოცი წელი.

   ბ. ოცდაათი წელი.

   გ. ოცდახუთი წელი.

   დ. ათი წელი.

7. **ქმედუნარიანად ითვლება:**
   ა. 15 წლის პირი, რომელსაც მიანიჭეს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლება.

ბ. პირი, რომელმაც 17 წლის ასაკის მიღწევამდე იქორწინა.

გ. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

8. **პირის პერსონალური მონაცემების დამუშავების უფლება აქვს:**

ა. კანონით განსაზღვრულ სუბიექტს;

ბ. ამ პირის თანხმობის შემთხვევაში ნებისმიერ სუბიექტს;

გ. ყველას ვისაც ამის სურვილი აქვს;

დ. „ა“ და „ბ“ შემთხვევაში.

9. **რომელი მსჯელობაა სწორი:**

ა. სოლიდარული კრედიტორი, რომელმაც მოვალისაგან მთლიანად მიიღო შესრულება, მოვალეა გადაუხადოს დანარჩენ სოლიდარულ კრედიტორებს მათი კუთვნილი წილი.

ბ.სოლიდარული კრედიტორი, რომელმაც მოვალისაგან მთლიანად მიიღო შესრულება, მოვალე არაა გადაუხადოს დანარჩენ სოლიდარულ კრედიტორებს მათი კუთვნილი წილი.

გ.სოლიდარული კრედიტორი, რომელმაც მოვალისაგან მთლიანად მიიღო შესრულება, ვალდებულია, არ გადაუხადოს დანარჩენ სოლიდარულ კრედიტორებს მათი კუთვნილი წილი.

დ. სოლიდარული კრედიტორი, რომელმაც მოვალისაგან მთლიანად მიიღო შესრულება, უფლებამოსილია, გადაუხადოს დანარჩენ სოლიდარულ კრედიტორებს მათი კუთვნილი წილი.

10. **რომელის მსჯელობაა სწორი:**

ა.სარჩელის შეტანა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ კრედიტორს ართმევს უფლებას შეიტანოს სარჩელი დანარჩენ მოვალეთა მიმართაც.

ბ.სარჩელის შეტანა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ კრედიტორს არ ართმევს უფლებას შეიტანოს სარჩელი დანარჩენ მოვალეთა მიმართაც.

გ.სარჩელის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სარჩელით სოლიდარულ მოვალეთა მიმართ .

დ.სარჩელის შეტანა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ დაუშვებელია.

11. **იპოთეკის მოწმობა არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი კანონიერი მფლობელის უფლებას :**

ა. მოითხოვოს იპოთეკის ხელშეკრულებიდან გასვლა.

ბ. მოითხოვოს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების შეწყვეტა.

გ. სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების ფარგლებში.

დ. მოითხოვოს იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება.

12. **საქართველოს სასამართლოებში საქმისწარმოება ხორციელდება:**

ა) მხარეთა შეჯიბრებითობის საფუძველზე,

ბ) სასამართლოს აუცილებელი აქტიური ჩარევით,

გ) იუსტიციის საბჭოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად,

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

13. **მოსარჩელე მხარე არასათანადოდ ითვლება, თუ:**

ა) მან არ გაითვალისწინა მეორე მოსარჩელის უფლება,

ბ) მან დაასახელა არასწორი მოპასუხე,

გ) თავისი სახელით სარჩელი წარადგინა სხვისი უფლებების დასაცავად,

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

14. **არბიტრაჟს განსახილველად გადაეცემა:**

ა) ნებისმიერი სამოქალაქო დავა,

ბ) მხოლოდ კერძო ხასიათის ქონებრივი დავა,

გ) საოჯახო ხასიათის დავები,

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

15. **მაგისტრატი მოსამართლე საქმიანობს და შედის:**

ა) სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობაში,

ბ) რაიონულისასამართლოს შემადგენლობაში,

გ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში,

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

16. **ადმინისტრაციული საქმისწარმოებისას სარჩელის დაუშვებლად ცნობის გამო მიიღება:**

ა. საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება;
ბ. საქმის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება;
გ. საქმის წარმოების შეჩერების შესახებ განჩინება;
დ. საქმის სხვა დროისათვის გადადების შესახებ განჩინება.

17. **ადმინისტრაციული საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლოში ორივე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია:**

ა. სარჩელი არ მიიღოს წარმოებაში;
ბ. სარჩელი განუხილველად დატოვოს;
გ. გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება;
დ. დანიშნოს განმწესრიგებელი სხდომა.

18. **საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა:**
ა. განახევრდება;
ბ. სრულად რჩება სახელმწიფო ბიუჯეტში;
გ. დაეკისრება მოსარჩელეს;
დ. დაეკისრება მოპასუხეს.

19. **პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება:**
ა. 21 დღის ვადაში;
ბ. 12 დღის ვადაში;
გ. 14 დღის ვადაში;
დ. 10 დღის ვადაში.

20. **ადმინისტრაციული საქმისწარმოებისას სასამართლო საქმის განხილვის რომელ ეტაპზე მართავს განმწესრიგებელ სხდომას:**
ა. მოსამზადებელ ეტაპზე;
ბ. სარჩელის წარმოებაში მიღების ეტაპზე;
გ. სარჩელის განხილვის ეტაპზე;
დ. პაექრობის ეტაპზე.

21. **ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მოქალაქე ბექაური ვერ აყალიბებდა თავის მოთხოვნას მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. მოსამართლე დაეხმარა მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში, რაც გააპროტესტა მოპასუხე მხარემ. რამდენად კანონიერად მოიქცა მოსამართლე?**
ა. არა, მოსამართლეს ამის უფლება არა აქვს;
ბ. დიახ, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში;
გ. არა, ეს მოსამართლის აცილების საფუძველია;
დ. დიახ, თუკი ამაზე მხარეები შეთანხმდებიან.

22. **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად" ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოთ:**
ა. ორსულ ქალებს,
ბ. დედებს, რომლებსაც ჰყავთ თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვები,
გ. თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირებს,პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს.
დ. ყველა პასუხი სწორია

23. **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად" ადმინისტრაციული სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება:**
ა. მხოლოდ ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება,
ბ. ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობა,
გ. ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.
დ. ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, პოლიტიკური შეხედულება და რელიგიური აღმსარებლობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

24. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად" რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის პირს შეიძლება დაედოს:

ა. თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე.

ბ. მხოლოდ ერთ სამართალდარღვევაზე

გ. მხოლოდ ერთ სამართალდარღვევაზე, დანარჩენი დარღვევები შთაინთქმება

დ. ყველა პასუხი სწორია

25. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად" ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს:

ა. არა უგვიანეს ერთი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან.

ბ. არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან.

გ. რა უგვიანეს ერთი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს სამი თვისა მისი გამოვლენის დღიდან.

დ. ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადებს კოდექსი არ ითვალისწინებს

26. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად" პირი ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად ითვლება თუ:

ა. ადმინისტრაციულ სახდელდადებულს სახდელის მოხდის დღიდან სამი წლის განმავლობაში არ ჩაუდენია ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა,

ბ. ადმინისტრაციულ სახდელდადებულს სახდელის მოხდის დღიდან სამი თვის განმავლობაში არ ჩაუდენია ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა,

გ. ადმინისტრაციულ სახდელდადებულს სახდელის მოხდის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში არ ჩაუდენია ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა,

დ. ადმინისტრაციულ სახდელდადებულს სახდელის მოხდის დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაუდენია ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

27. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპის კონვენციის თანახმად, ევროსასამართლოს სტრუქტურაში შედის:

ა. ევროპული კომისია და ევროპის სასამართლო

ბ. პალატა და დიდი პალატა

გ. კომიტეტი და პალატა

დ. კომიტეტი, პალატები და დიდი პალატა

28. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოპასუხე მხარეს წარმოადგენს:

ა. სახელმწიფო

ბ. ფიზიკური პირი

გ. ეროვნული სასამართლო

დ. ევროპის საბჭო

29. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 დამატებითი ოქმი ითვალისწინებს:

ა. განაცხადის წარდგენის 6 თვიანი ვადის 4 თვეზე ცვლილებას;

ბ. მოსამართლეთა დანიშვნის წესს

გ. განათლების უფლებას

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი

30. **ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) თანახმად, სიცოცხლის წართმევა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად თუ იგი წარმოადგენს აბსოლუტურად აუცილებელი ძალის გამოყენების შესაბამის შედეგს. რომელი გარემოება არ ჯდება ზემოაღნიშნულის ფარგლებში:**

ა. ნებისმიერი პირის არამართლზომიერი ძალადობისგან დაცვა

ბ. მართლზომიერი დაკავების განხორციელება, ან მართლზომიერად დაკავებული პირის გაქცევისათვის ხელის შეშლა

გ. აჯანყების ან ამბოხების ჩახშობის მიზნით, მართლზომიერი მოქმედება

დ. მართლზომიერი რისკი

31. **რას ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმი?**

ა. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას საერთოდ არ აქვს ასეთი ოქმი.

ბ. ცვლილებას სასამართლოს სამართალწარმოებაში.

გ. დისკრიმინაციის აკრძალვას.

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი

32. **ვისი უფლებამოსილებაა დასახლებების შექმნისა და გაუქმების, ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის, სახელის მინიჭებისა და შეცვლის წესების დადგენა?**

ა) საკრებულოს;

ბ) მხოლოდ სახელმწიფო რწმუნებულს – გუბერნატორს;

გ) გამგეობის რწმუნებულს;

დ) საქართველოს მთავრობას.

33. **თვითმმართველი ერთეულის შექმნის საფუძველია:**

ა) თვითმმართველი ერთეულის გამოყოფა სხვა თვითმმართველი ერთეულიდან;

ბ) თვითმმართველი ერთეულის მიერთება სხვა თვითმმართველი ერთეულთან;

გ) თვითმმართველი ერთეულის გაყოფა ან გაერთიანება მოსაზღვრე თვითმმართველ ერთეულთან;

დ) მხოლოდ თვითმმართველი ერთეულის გაყოფა ორ ან მეტ თვითმმართველ ერთეულად.

34. **რა ვადით ირჩევა საკრებულო?**

ა) 4 წლით;

ბ) საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დადგენილი ვადით;

გ) 3 წლით;

დ) ადგილობრივ არჩევნებს შრის არსებული ვადით, იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი არჩევნების ჩატარების თარიღს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

35. **ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა შეიძლება გაიხსნას:**

ა) თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) ახალარჩეული საკრებულოს სრული შემადგენლობის 2/3;

ბ) თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) ახალარჩეული საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

გ) თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) ახალარჩეული საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

დ) თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) ახალარჩეული საკრებულოს სიითი შემადგენლობის 2/3.

36. ჩამოთვლილთაგან რომელი ორგანო უზრუნველყოფს საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველთა სერტიფიცირებას?

ა. საჯარო სამსახურის საბჭო;

ბ. საჯარო სამსახურის ბიურო;

გ. დაწესებულება, რომელმაც გამოაცხადა ვაკანსია;

დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი;

37. არსებობს საჯარო მოსამსახურეების შემდეგი სახეები:

ა. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, შტატგარეშე მოსამსახურე, მოხელე, დამხმარე მოსამსახურე;

ბ. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, პოლიტიკური თანამდებობის პირი, შტატგარეშე მოსამსახურე, მოხელე, დამხმარე მოსამსახურე;

გ. პროფესიული საჯარო მოხელე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი;

38. საჯარო სამსახურის საბჭოს დებულებას ამტკიცებს:

ა. საქართველოს მთავრობა დადგენილებით

ბ. საქართველოს პრემიერ-მინისტრი

გ. საქართველოს პრეზიდენტი დეკრეტით

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი

39. ადმინისტრაციული ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს:

ა. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადას;

ბ. პოლიტიკური თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადას;

გ. 5 წელს;

დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი;

40. **საგადასახადო შეთანხმების აქტი ფორმდება:**

ა) ფინანსთა მინისტრსა და გადასახადის გადამხდელს შორის;

ბ) საქართველოს მთავრობასა და გადასახადის გადამხდელს შორის;

გ) შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შორის;

დ)ხაზინასა და გადასახადის გადამხდელს შორის.

41. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის წარმოების შემთხვევაში მომჩივანს უფლება აქვს:

ა) შემოსავლების სამსახურში დავის წარმოების დროს მიმართოს სასამართლოს.

ბ) მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოში დავის წარმოების დროს მიმართოს სასამართლოს.

გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი;

დ) ნებისმიერ ეტაპზე მიმართოს სასამართლოს.

42. **შპს"ალიონის" და კოოპერატივი „ერთობის" შერწყმის შესახებ გადაწყვეტილება პარტნიორთა საერთო კრებაზე მიიღო ხმის უფლების მქონე პარტნიორთა 51%-მა. აღნიშნული გადაწყვეტილებით განისაზღვრა პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და უფლებამონაცვლეობის საკითხი.შერწყმის გადაწყვეტილება სამეწარმეო რეესტრის მიერ არ იქნა რეგისტრირებული იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილება არ იყო მიღებული კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.სწორია თუ არა მარეგისტრირებელი ორგანოს უარი?**

ა)მარეგისტრირებელი ორგანოს უარი სწორია რადგან,თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სააქციო საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%

ბ)მარეგისტრირებელი ორგანოს უარი არ არის სწორია რადგან,სააქციო საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 51%

გ)მარეგისტრირებელი ორგანოს უარი არ არის სწორია რადგან,სააქციო საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 50%.

დ)არცერთი პასუხი არ არი სწორი.

43. სავალდებულოა თუ არა ფილიალის რეგისტრაცია?

ა)ყველა შემთხვევაში სავალდებულოა;

ბ)არცერთ შემთხვევაში არ არის სავალდებულო;

გ)სავალდებულოა,თუ ფილიალს ქმნის უცხო ქვეყნის იურიდიული პირი;

დ)არცერთი პასუხი არ არი სწორი.

44. ფიზიკურმა პირმა დააფუძნა შპს და საფირმო სახელწოდებად მიუთითა „მზიური£µ" რეგისტრირებელმა ორგანომ უარი განაცხადა აღნიშნული საფირმო სახელწოდებით შპს-ის რეგისტრაციაზე. სწორია თუ არა მარეგისტრირებელი ორგანოს უარი?

ა)მარეგისტრირებელი ორგანოს უარი სწორია რადგან,დაუშვებელია საფირმო სახელწოდებაში ისეთი გრაფიკული სიმბოლოების გამოყენება, რომელთაც არ აქვთ ენობრივი ნორმებით დადგენილი ბგერითი ან სიტყვიერი შესატყვისი;

ბ)მარეგისტრირებელი ორგანოს უარი არ არის სწორია რადგან,საფირმო სახელწოდებაში შესაძლებელია გრაფიკული სიმბოლოების გამოყენება;

გ)მარეგისტრირებელი ორგანოს უარი არ არის სწორი, რადგან შზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სააქციო საზოგადოებას, კოოპერატივს შეუძლია საფირმო სახელწოდება შეარჩიოს თავისი საქმიანობის საგნის მიხედვით;

დ)მარეგისტრირებელი ორგანოს უარი არ არის სწორია რადგან შზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების, კოოპერატივის საფირმო სახელწოდება შეიძლება იყოს ფანტაზიის ნაყოფი.

45. კოლექტიური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან:

ა. დასაქმებული და დამსაქმებელთა გაერთიანება
ბ. დასაქმებულთა გაერთიანება და დამსაქმებელი
გ. მოვალე და კრედიტორი
დ. ერთი ან მეტი დამსაქმებელი ან ერთი ან მეტი დამსაქმებელთა გაერთიანება და ერთი ან მეტი დასაქმებულთა გაერთიანება.

46. ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა:

ა. 10 წლის ასაკიდან
ბ. 12 წლის ასაკიდან
გ. 16 წლის ასაკიდან
დ. არც-ერთი პასუხი არ არის სწორი

47. პეტრემ პავლეს ჯანმრთელობის დაზიანების განზრახვით მიაყენა სახეზე წარუშლელი დამახინჯება. როგორ დაკვალიფიცირდება პეტრეს ქმედება?

ა) ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება.

ბ) განზრახ მკვლელობის მცდელობა.

გ) ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქად დაზიანება.

დ) ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით.

48. პეტრემ კესოს სასმელში ჩაუყარა დამაძინებელი საშუალება იმ განზრახვით, რომ უმწეო მდგომარეობაში მყოფთან პავლეს სქესობრივი კავშირი დაემყარებინა. განზრახვა სისრულეში იქნა მოყვანილი. დააკვალიფიცირეთ პეტრეს ქმედება

ა) გაუპატიურებაში თანამსრულებელი

ბ) ჯგუფურ გაუპატიურებაში თანამსრულებელი

გ) გაუპატიურებაში თანამონაწილე (დამხმარე)

დ) ჯგუფურ გაუპატიურებაში თანამონაწილე (დამხმარე)

49. ნინა არასასურველი მამაკაცისგან დაფეხმძიმდა. თავისმა დამ კესომ ურჩია, რომ ახალშობილი არ გამოეკვება და გარდაიცვლებოდა. ნინა ასეც მოიქცა ახალშობილი გარდაიცვალა. დააკვალიფიცირეთ კესოს ქმედება.

ა) განზრახ მკვლელობაში თანაამსრულებელი.

ბ) უმოქმედობით განზრახ მკვლელობაში თანამონაწილე (დამხმარე)

გ) განზრახ მკვლელობაში წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ თანამონაწილე (დამხმარე)

დ) უმოქმედობით განზრახ მკვლელობაში წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ თანამონაწილე (დამხმარე).

50. პეტრემ იმისთვის რომ დაემტკიცებინა მისი პროფესიონალიზმი სროლაში პავლეს თხოვა თავზე ვაშლი დაედო. ის კი იარაღით ვაშლს ესროდა პირდაპირ. ტყვია მოხვდა პავლეს და გარდაიცვალა. დააკვალიფიცირეთ პეტრეს ქმედება.

ა) განზრახ მკვლელობა.

ბ) გაუფრთხილებლობით (დაუდევრობით) სიცოცხლის მოსპობა

გ) არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობა

დ) გაუფრთხილებლობით (თვითიმედოვნებით) სიცოცხლის მოსპობა.

51. პეტრეს დედამ ნინამ განუცხადეს, რომ თუ ცოლს არ მოიყვანდა ძალიან ეწყინებოდათ პეტრესგან. ამის გამო პეტრემ ცოლი მოიყვანა. დააკვალიფიცირეთ ნინას ქმედება.

ა) იძულება

ბ) მუქარა

გ) ნინა არ აგებს პასუხს სისხლისსამართლებრივად.

დ) ქორწინების იძულება.

52. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, წინასწარ ცნობილი საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე ვის და რა ვადებში უნდა წარედგინოს შეტყობინება და საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი;

ა. უნდა წარედგინოს პროკურორს პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ პროცესის დაწყებამდე არა უგვიანეს 48 საათისა. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს გამოუცხადებლობიდან 5 დღეში.

ბ. უნდა წარედგინოს სასამართლოს პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ პროცესის დაწყებამდე არა უგვიანეს 24 საათისა. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს გამოუცხადებლობიდან 5 დღეში.

გ. უნდა წარედგინოს სასამართლოს პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ პროცესის დაწყებამდე არა უგვიანეს 48 საათისა. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს გამოუცხადებლობიდან 10 დღეში.

დ. უნდა წარედგინოს სასამართლოს პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ პროცესის დაწყებამდე არა უგვიანეს 48 საათისა. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნეს გამოუცხადებლობიდან 5 დღეში.

53. სისხლის სამართლის საქმეებზე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ან მაგისტრატი მოსამართლის განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამო სააპელაციო საჩივარს განიხილავს;

ა. სააპელაციო სასამართლოს საკასაციო პალატა.

ბ. საკასაციო სასამართლოს სააპელაციო პალატა.

გ. სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო კოლეგია.

დ. სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო პალატა.

54. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს;

ა. ოთხზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები – მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ათზე ნაკლები – განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.

ბ. სამზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები – მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ათზე ნაკლები – განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.

გ. ექვსზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები – მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ათზე ნაკლები – განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.

დ. ექვსზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ცხრაზე ნაკლები – მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ათზე ნაკლები – განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.